# სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ნანობაშვილის ანგარიში 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წ 15 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

მოგესალმებით,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით მე ნანა ნანობაშვილი, როგორც საკრებულოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი და ამავე დროს საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვალდებული ვარ ამომრჩეველს ჩავაბარო ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ .

ჩემი ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში მაქსიმალურად ვცდილობ ჩართული ვიყო სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში და ჩემ სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემის მოგვარების საკითხში, როგორც საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ჩემი ვალდებულებაა ჩართული ვიყო ყველა იმ პროცესში რომელსაც ახორციელებს წარმომადგენლობითი ორგანო.

ჩემი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია : კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიალურობა, ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი, მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება და მიღებული ნდობის შენარჩუნება, მთავარი ამოცანაა პოლიტიკური პროცესების მართვაში მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. სწორედ ამ პრინციპებს დაცვითა და საკრებულოს განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულებით ვახორციელებ ჩემ საქმიანობას.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 16 სხდომა. ვესწრებოდი 16-ს, ბიუროს 23 სხდომა, ვესწრებოდი 22-ს, ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება“ - 10 სხდომა, ვესწრებოდი - 10-ს, აქტიურად ვიყავი ჩართული საკითხების განხილვაში. საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ მხარდაჭერილ იქნა როგორც საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე დღის წესრიგში დასმული მიმდინარე საკითხები.

**დავიწყებ კომისიის ანგარიშით.** კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია მის სფეროს მიკუთვნებული საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების , გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს , მერიის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიულიპირების კონტროლის მიზნით.

კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია 9 წევრით. ჩემი ხელმძღვანელობიით ჩატარდა კომისიის 8 სხდომა. კომისიის კომპეტენციის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები :

1. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის“ დირექტორის შოთა ბეგიაშვილის 2023 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

2. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი 2024-2027 წლების განვითარების დოკუმენტისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

4. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს“ დირექტორის ქეთევან ნადირაშვილის 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

5. ა(ა).ი.პ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორის თენგიზ მოსულიშვილის 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

მომხსენებელი: თენგიზ მოსულიშვილი

6. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების რეფორმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ

7. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ. „სიღნაღის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრის“ დირექტორის ნათელა ნადიკაშვილის 2023 წლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტრატეგიისა და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

9. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ დირექტორის თინათინ ბეგიაშვილის 2023-2024 სააღმზრდელო წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

10. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აპრილის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

11. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ 2024-2025 სააღმზრდელო წლისათვის მზადყოფნის შესახებ.

12. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამუსიკო (სახელოვნებო) სკოლების გაერთიანების“ დირექტორის ლალი ფოლადაშვილის 2023 -2024 სასწავლო წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

ადგილობრივ თვითმმართველობაში მთავარი საზრუნავი არის და ყოველთვის იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. მოკლედ გეტყვით სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ სოციალური დახმარების კომისიაში

ჩემი საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობას და
სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამისა და მისი გაცემის წესის შესაბამისად ვუწევთ დახმარებას.
კომისიის მუშაობაში ჩართულობა  საშუალებას მაძლევს, ვიყო ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების პროცესის თანამონაწილე.
საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მერიაში არსებული სოციალური დახმარების კომისიის- 48 სხდომა , ვესწრებოდი 46-ს.  სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ. ვაქირში ისარგებლა  214
მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 56 625 ლარი.
კერძოდ:
სამედიცინო დახმარების მუხლი (52 ბენეფიციარი) -28 305ლარი;
შშმ პირთა სოციალური დაცვა (57 ბენეფიციარი) -10 850ლარი;
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (9 ბენეფიციარი) -1800 ლარი;
განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება (85 ბენეფიციარი)-16 700 ლარი;
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის მუხლიდან-(6 ბენეფიციარი) - 1000ლარი;
მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (4ბენეფიციარი) - 700 ლარი;
ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება (1 ბენეფიციარი)- 350 ლ;
სტუდენტთა  დახმარება  (1 ბენეფიციარი) – 480 ლ;
ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალისათვის ოჯახების დახმარება (1 ბენეფიციარი) - 945 ლარი;

ჩართული ვარ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების, ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფში, რომელის დანიშნულებაა მუნიციპალიტეტში სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვა და არსებული პროგრამების გაუმჯობესება.
ვარ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, საბჭო სხდომაზე პერიოდულად განიხილავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით.

რაც შეეხება გენდერული თანასწორობის საბჭოს და ამ მიმართულებით ჩემს მუშაობას, ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. საბჭო მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, ქალთა მიმართ

ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით. ქალთა მიმართ ძალადობის კამპანიის ფარგლებში 2023 წ 25 ნოემბრიდან გენდერული თანასწორობის საბჭომ მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა . შეხვედრების მიზანი იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფენომენის გაცნობა,

სამართლებრივი მექანიზმებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება. საინფორმაციო შეხვედრები, რომელშიც აქტიურად ვმონაწილეობდი, 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს დასრულდა.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომელიც საანგარიშო პერიოდში ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მიმდინარეობს, სოფელ ვაქირში დასრულდა წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი. პროექტის ფარგლებში წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად მოეწყო ახალი სისტემები, ქსელები, ჭაბურღილები, საქლორატორო და რეზერვუარები .მოსახლეობა, ახალი სისტემით, წყალს 24 საათის განმავლობაში იღებს. პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ განახორციელა.

სოფ . ვაქირში რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით დასრულდა  გარდამავალი საგზაო ინფრასტუქტურული სამუშაო ,,ჯანაანთ" უბანში. პროექტის ფარგლებში მოეწყო 851 გრძივი მეტრი  ასფალტობეტონის გზა ,რომლის ღირებულება შეადგენს 582 981 ლ.  ასევე 2024 წელს დასრულდა ,,დავითაანთ“  უბნის რეაბილიტაცია, რომლის  სახელშეკრულებო ღირებულებაა 981210,19 ლარი . პროექტის ფარგლებში მოეწყო 860 გრძივი მეტრი ასფალტობეტონის გზა.

გადაიხურა სტიქიის შედეგად დაზიანებული ერთი საცხოვრებელი სახლი . ამჟამად , საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გარე განათების მოწყობა მიმდინარეობს.

ვაქირში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. პროექტის დამთავრების შემდეგ, ვაქირს 100 ბავშვზე გათვლილი ახალი, ორსართულიანი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი ექნება.  სამშენებლო სამუშაოები, საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობასაც ითვალისწინებს. დაგეგმილია გასართობი ატრაქციონების, სათამაშო ქვიშის მოედნების, საქანელების, ეზოს სკამების, სასრიალოების, ნაგვის ურნებისა და სასმელი წყლის შადრევნების მოწყობა.

ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას, რომლის ღირებულება 2 291 565 ლარია,  მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.

უახლოეს დღეებში დაიწყება ,,გოგაანების“ უბნის გზის  სარეაბილიტაციო სამუშაოები , რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 1 967 690.19 ლარია და მოეწყობა : 2435 მეტრზე ცემენტო-ბეტონის გზა .

დაგეგმილია სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაქირში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობის სამუშაოები - სატენდერო ღირებულებაა 314 278 ლარია.

როგორც სოფლის მაჟორიტარისათვის მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა თუ  გამოწვევა, რომლის წინაშეც ჩემი სოფელი დგას. არ დავიშურებ ძალისხმევას, რათა შევძლო დასახული ამოცანების განხორციელება და იმ მიზნების მიღწევა რაც ჩვენს  მოქალაქეებს ცხოვრების უკეთესი პირობებს შეუქმნის.

საანგარიშო პერიოდში სისტემატურად მქონდა და მაქვს ყოველკვირეული შეხვედრები მოსახლეობასთან,.  ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, რას ფიქრობს ხალხი, რა შეხედულებები აქვთ ამა თუ იმ საკითხზე. არც თუ იშვიათად თვითონ მივსულვარ მოქალქეებთან სახლში, თუ ამის საჭიროება იყო, ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩემამდე მოსვლა არ შეეძლოთ.

საკრებულოს თავმჯდომარის, მერიის შესაბამისი სამსახურების, საკრებულოს  წევრებთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობ მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი  პროექტების განხილვაში. მთავარი ფინანსური დოკუმენტის-ბიუჯეტის ფორმირებაში.

პერიოდულად ვისმენთ მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიული პირების გაწეული მუშაობის ანგარიშებს, ვაძლევთ რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ გეგმებს.

მუნიციპალიტეტში კვლავ ბევრი გამოწვევა რჩება მოსაგვარებელი. მჯერა 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უკეთესი იქნება, ახალი ინიციატივებით ურთიერთ თანამშრომლობაზე  დაფუძნებული საქმიანობით. ეტაპობრივად ყველა სოფელში მოვაწესრიგებთ ინფრასტრუქტურას, ხელს შევუწყობთ განათლებას, გავაუმჯობესებთ სოციალურ გარემოს .სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა  ორიენტირებულია ხალხზე და არ გაურბის პასუხისმგებლობას, დარწმუნებული ვარ განხორციელებული პროექტებით  შედეგი იქნება თვალსაჩინო.

მიმაჩნია, რომ განვლილ  აანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით უფრო  აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის შემდგომი საქმიანობა. მე აქტიურად გავაგრძელებ მოსახლეობასთან კომუნიკაციას .

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი გუნდის ყველა წევრს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩემს ყოველდღიურ საქმიანობაში ვგრძნობ. მჯერა, რომ ყველა ერთად  შევძლებთ, ჩვენი წვლილის შეტანას სიღნაღის მუნიციპალიტეტის წინსვლასა და კეთილდღეობაში.

**ნანა ნანობაშვილი**